Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#16,აპრილი, 2021

აფხაზური დიასპორის ჩართულობა თურქეთისა და დე-ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და წარმართვაში

ანა აბრამიძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ana.abramidze278@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

თურქეთის გააქტიურებამ მეზობელ სახელმწიფოებსა და რეგიონებში წარმოქმნა მოთხოვნილება, რომ თურქეთის როლს სამხრეთ კავკასიაში 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ ახლებურად შევხედოთ. ამ კუთხით, ერთის მხრივ, თუ რუსეთის გარკვეულწილად დამაბალანსებელი ძალის გამოჩენა საქართველოსთვის დადებით მოვლენად მიიჩნევა, მეორეს მხვრივ ვერ ავუვლით გვერდს საქართველოს კანონმდებლობის უგულებელყოფვით თურქეთის მიერ აფხაზეთთან დამყარებულ ურთიერთობებს. სტატია სწორედ ამ ურთიერთობებს და მის განმაპირობებელ მიზეზებს მიმოიხილავს, მიზეზებს შორის კი განსაკუთრებულ ყურადღებას თურქეთში მცხოვრებ აფხაზ დიასპორაზე ამახვილებს. კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს თურქეთში აფხაზური ლობირების მასშტაბები და განიხილოს მისი როლი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონთან თურქეთის მიერ არაოფიციალური პოლიტიკის წარმართვაში.

კვლევის შედეგი თურქეთსა და აფხაზეთს შორის ურთერთობების განხილვითა და აფხაზური დიასპორისთვის მნიშვნელოვანი როლის მინიჭებით განისაზღვრება. როგორც ნაჩვენებია, თურქეთი აფხაზეთთან ამყარებს არა მხოლოდ საავაჭრო, არამედ არაოფიციალურ დონეზე პოლიტიკურ ურთიერთობებსაც, რაც, მათ შორის, გამოიხატება პოლიტიკოსებისა და პარლამენტარებისგან შემდგარი დელეგაციების ვიზიტებით აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკასა და თურქეთში, განსაკუთრებით 2008 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ. ეს ურთიერთობები ჩრდილს აყენებს საქართველოსა და თურქეთს შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას. კვლევა ავლენს, რომ თურქეთის მიერ მსგავსი პოლიტიკის წარმართვას დიდწილად აფხაზური დიასპორა განაპირობებს და უმეტეს შემთხვევაში თვითონვეა მათი ინიციატორიცა და ორგანიზატორიც.

საკვანძო სიტყვები: *თურქეთი, საქართველო, დე ფაქტო აფხაზეთი, თურქეთ- დე ფაქტო აფხაზეთის ურთიერთობები, აფხაზური დიასპორა.*

შესავალი

საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობები საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მნიშვნელოვნად განვითარდა და მიაღწია სტრატეგიულ პარტნიორობას. თურქეთი არის საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური პარტნიორი. აღსანიშნავია თურქეთის ჩართულობა სამხრეთ კავკასიაში არსებულ კონფლიქტებთან, მათ შორის, აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით: 1990-იანი წლების მიწურულს თურქეთი ქართულ და აფხაზურ მხარეს შორის მოლაპარაკებების ინიციატივით გამოვიდა; 1999 წელს შედგა სტამბოლის შეხვედრა აფხაზეთის კონფლიქტის თემატიკაზე; 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ თურქეთმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა ინიციატივა და წარმოადგინა „სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმა“ (ვაისი, ა.; ზაბანოვა, ი.; სმოლნიკი, ფ.; 2018).

ინიციატივა, რომელიც რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა 2008 წლის აგვისტოს თვეში მოსკოვში ვიზიტისას წამოაყენა, გამორიცხავდა აშშ-ს და მოიცავდა 3+2 ფორმატს, სადაც სამხრეთ კავკასიურ 3 სახელმწიფოსთან ერთად მოიაზრებოდა თურქეთი და რუსეთი (მანჩხაშვილი, მ. 2018). მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა არ შედგა, იდეა გამოხატავდა თურქეთის დიდ ინტერესს სამხრეთ კავკასიის შავი ზღვისპირეთის რეგიონისადმი და სურვილს, ყოფილიყო მნიშვნელოვანი სტრატეგიული და პოლიტიკური მოთამაშე რუსეთთან ერთად. ეს კი იყო თურქეთის მისწრაფების გამოვლინება- გაეფართოებინა გავლენა კავკასიაში.

2020 წელს კი აზერბაიჯანისადმი თურქეთის პოლიტიკურმა და სამხედრო მხარდაჭერამ კავკასიაში ვითარება შეცვალა. მართალია, რუსეთმა მიიღო დამატებითი უპირატესობები, როგორიცაა სამშვიდობოების განლაგება მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე და სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის დამაკავშირებელი მარშრუტების უსაფრთხოების კონტროლირება (ბატაშვილი, დ. 2020), თუმცა მას მოუწევს, თვალი გაუსწოროს ფაქტს, რომ რეგიონში თურქეთის მნიშვნელობა გაიზარდა. თურქეთმა შექმნა სიტუაცია, რომელშიც რეგიონში ძალთა კალკულაციებისას ანკარას პოზიცია უნდა იყოს გათვალისწინებული. (Górecki,W., & Chudziak, M. 2021 : 5-7; Gabuev, A. 2020)

აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია დავინახოთ, რომ რეგიონში თურქეთის გააქტიურება შესაძლოა, რუსული გავლენების დამაბალენსებელი იყოს, განსაკუთრებით საქართველოსთვის, რადგან ის ნატოს წევრია და აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. სხვადასხვა პერიოდში არსებობდა მოსაზრებებიც, რომ

თურქეთს, როგორც მედიატორს, შეუძლია, ახალი მუხტი შეიტანოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების პროცესში, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის არსებობს „ჩავარდნებიც", რომელიც გამოიხატება თურქეთის მიერ აფხაზეთთან ურთიერთობების დამყარებაში. ამაზე ნაკლებადაა გამახვილებული ყურადღება ქართულ-თურქული ურთიერთობების მიმოხილვისას. შესაბამისად ნაშრომი პასუხს გასცემს კითხვას - თუ რა ურთიერთობები აქვს თურქეთს „დე-ფაქტო" აფხაზეთთან? რა არის ის მიზეზები და მიზნები, რაც უბიძგებს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს საქართველოს კანონმდებლობის გვერდის ავლით დაამყაროს ურთიერთობები ოკუპირებულ ტერიტორიად აღიარებულ აფხაზეთთან? და რაც მთავარია, ნაშრომი მიმოიხილავს თურქეთში აფხაზური ლობირების მასშტაბებსა და გავლენებს საქართველოს სეპარატიულ რეგიონთან თურქეთის არაოფიციალური პოლიტიკის წარმართვაზე. შესაბამისად ლიტერატურის მიმოხილვას სწორედ საერთაშორისო ურთიერთობებში დიასპორის როლის განხილვითა და აფხაზურ დიასპორაზე მსჯელობით დავიწყებთ.

ლიტერატურის მიმოხილვა

დიდი ხნის მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებული თეორიული მიმართულება- რეალიზმი სახელმწიფოს უნიტარულ და რაციონალურ აქტორად წარმოადგენდა და არ ტოვებდა სივრცეს სხვა მნიშვნელოვანი აქტორებისთვის. თუმცა საერთაშორისო პოლიტიკაზე დაკვირვების შედეგად სულ უფრო და უფრო ხშირად აქცენტი კეთდება იმაზე, რომ სახელმწიფოების გადაწყვეტილებებზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამ სტატიაში ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად დიასპორაა წარმოდგენილი.

სტატიაში „დიასპორა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორია" (2003) იოსი შეინი და აარონ ბარტი დიასპორას განიხილავენ, როგორც დამოუკიდებელ აქტორს, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სახელმწიფოების პოლიტიკაზე. ისინი ასევე ცდილობენ, შეავსონ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში დიასპორის კვლევასთან დაკავშირებით არსებული სიცარიელე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების მოშველიებით. ავტორების განცხადებით დიასპორები ძირითადად მოქმედებენ, როგორც მულტიკულტურული საგარეო პოლიტიკის დამცველები, ტრანსნაციონალური კავშირების დამყარების ხელშემწყობნი და შუამავლები მათ ისტორიულ სამშობლოსა და ადგილსამყოფელ ქვეყნებს შორის. ისინი გადასცემენ „სამეწარმეო სულისკვეთებასა" და

მნიშვნელოვან მწარმოებლურ უნარ-ჩვევებს ისტორიულ სამშობლოს (ამ მიმართულებებს აფხაზური დიასპორის საქმიანობის მიმოხილვისას შევხვდებით). ავტორები დიასპორას განსაზღვრავენ, როგორც საერთო წარმოშობის ხალხს, რომლებიც ისტორიულ სამშობლოსთან კავშირში აღიქმებიან და არიან ეროვნული საზოგადოების ნაწილნი.

მითათ ჩელიკპალა(2006), რომელიც კონკრეტულად ჩრდილოკავკასიელ დიასპორაზე ამახვილებს ყურადღებას განიხილავს აფხაზური და ჩეჩნური დიასპორის ქმედებებს აფხაზეთსა და ჩეჩნეთში კონფლიქტის არსებობის დროს და მიმოიხილავს მათ მიერ თურქეთის პოლიტიკაზე არსებულ გავლენას. ამ მხრივ, ავტორი გამოყოფს დიასპორის როლს კავაკსიის რეგიონთან დაკავშირებით ინფორმაციებისა და ცოდნის გავრცელების კუთხით, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, როცა კავკასიის რეგიონზე თურქეთში მეტ-ნაკლებად ინფორმაციული ვაკუუმი არსებობდა. სხვა ავტორებისგან განსხვავებით სტატიაში ყურადღება მახვილდება ტელევიზიებში, გაზეთებსა და სხვა მედიასაშუალებებში დიასპორის აქტიურობაზე, როგორც თურქულ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთ საშუალებაზე. ავტორები ხაზს უსვამენ დიასპორის აქტიურობას შეხვედრების დაგეგმვასა და ორგანიზებაში, სადაც თურქ პოლიტიკოსებს ძირითადად ინფორმაციას გადასცემდნენ აფხაზეთსა და იქ მიმდინარე კონფლიქტზე, რითაც მიაღწიეს თუნდაც 1992 წლის 13 ოქტომბერს თურქეთის პარლამენტში აფხაზეთის საკითხის წამოჭრასა და განხილვას (Çelikpala. M., 2006: 433).

თურქეთში აფხაზური დიასპორის როლზე ამახვილებენ ყურადღებას ფრანცისკა სმოლნიკი, ანდრეა ვაისი და იანა ზაბანოვა. ისინი განსაკუთრებულად უსვამენ ხაზს დიასპორის როლს თურქეთის მიერ 1990-იან წლებში კავკასიის სახელმწიფოებთან და ხალხებთან ურთიერთობების დამყარებაში, რადგან ისინი ინფორმაციისა და ცოდნის გადამცემ მნიშვნელოვან ერთეულებს წარმოადგენდნენ. ისინი ასევე გამოყოფენ დიასპორის ლობისტურ როლს დე-ფაქტო აფხაზეთის წარმომადგენლების თურქულ სამთავრობო წრეებთან დაკავშირებაში. სტატიაში ყურადღება მახვილდება ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რომლებიც ასევე აფხაზურ დიასპორაზეა დამოკიდებული, რადგან კომპანიები, რომლებიც აფხაზეთთან კავშირში ებმებიან, უმეტესად სწორედ აფხაზური დიასპორის წარმომადგენლების მფლობელობაშია. საბოლოო ჯამში ავტორები აცხადებენ, რომ თურქეთის მიერ აფხაზეთთან დამყარებული და შენარჩუნებული ურთიერთობები მიმართულია იმისკენ, რომ არ გამოიწვიონ აფხაზურ დიასპორაში უსიამოვნება. (ვაისი, ა.; ზაბანოვა, ი.; სმოლნიკი, ფ.; 2018)

სერგი კაპანაძე დე ფაქტო აფხაზეთთან თურქეთის საავჭრო ურთიერთობებზე საუბრისას (რასაც თურქეთსა და საქართველოს შორის „განხეთქილების ვაშლს“ უწოდებს) ეხება დიასპორის

საკითხს. ის თურქეთის მხრიდან აფხაზეთთან ურთიერთობების შენარჩუნებაში ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ასახელებს აფხაზურ დიასპორას და მათი კავშირებს ისტორიულ სამშობლოსთან. თუმცა მან ასევე გამოჰყო სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, როგორებიცაა თურქეთის სურვილი აფხაზეთში რუსული გავლენის დაბალანსებისა და სხვა. (Kapanadze, S., 2014: 57-59)

დანარჩენი მკვლევრებისგან განსხვავებით, რომლებიც დიასპორის გარდა სხვა ფაქტორებსაც განიხილავდნენ მკვლევარი ბურჩუ პუნსმანი თავის სტატიაში, რომელშიც შავი ზღვის რეგიონში თურქეთის მაინტეგრირებელ როლზე საუბრობს, აფხაზურ დიასპორას მოიაზრებს მთავარ მამოძრავებელ ძალად თურქეთისა და დე ფაქტო აფხაზეთს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში. ის ძირითადად აფხაზური დიასპორის ლობირებასა და ადვოკატირებაზე ამახვილებს ყურადღებას (Punsmann, B. G. 2009).

არიან ავტორებიც, რომლებიც თურქეთის მიერ დე ფაქტო აფხაზეთთან ურთიერთობების დამყარების მიზეზებზე საუბრისას აფხაზური დიასპორის როლს თითქმის უარყოფენ, მაგალითად იგორ ტორბაკოვი ემრულა უსლუს მსგავსად (2009) თურქეთისა და აფხაზეთის ურთიერთობების მიზეზების განხილვისას აღნიშნავს თურქეთის სურვილს არ დაუშვას რუსეთის სრული დომინირება აფხაზეთში, ან სურვილს დაამყაროს აფხაზეთთან ჩრდ.კვიპროსის მსგავსი ურთიერთობები და სხვა. თუმცა აფხაზური დიასპორის როლს ძალზე მცირე ყურადღებას უთმობს (Torbakov, I. 2009)

მეთოდოლოგია

სტატიაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ ნაშრომი ძირითადად ეფუძნება ე.წ სამაგიდო კვლევის მეთოდს, რაც გულისხმობს მეორეული წყაროების დამუშავებას. საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად, კერძოდ, იმის გამოსარკვევად თუ რა ურთიერთობები არსებობს თურქეთსა და დე ფაქტო აფხაზეთს შორის და რა როლი აქვს აფხაზურ დიასპორას ამ ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, გამოყენებულია ლიტერატურის მიმოხილვა და განხილულია სხვადასხვა აკადემიურ წყაროში მოცემული ინფორმაცია. ამასთანავე სტატიაში მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალის დაზუსტებისთვის რიგ შემთხვევებში გამოყენებულია ქართულ, აფხაზურ და თურქულენოვან საინფორმაციო სააგენტოთა საიტებზე გამოქვეყნებული მასალები, ასევე არქივები.

ნაშრომის ერთი ნაწილი თურქეთისა და დე-ფაქტო აფხაზეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების მიმოხილვას და ამ ურთიერთობების დამყარების მიზეზების

გამოყოფას ეხება, შესაბამისად სხვადასხვა რელევანტური ნაშრომისა და სტატიის ანალიზს წარმოადგენს.

საბოლოო ჯამში ინტერნეტ რესურსების, განსაკუთრებით კი სამეცნიერო ელექტრონული ბიბლიოთეკების გამოყენებით მოპოვებული მასალების ანალიზი და მათზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნები მნიშვნელოვნად ხელისშემწყობია სტატიის მთავარი საკვლევი კითხვებისთვის პასუხის გასაცემად.

თურქეთის ეკონომიკური-სავაჭრო ურთიერთობები აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკასთან

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ოფიციალურ დონეზე თურქეთი მუდმივად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვით. მაგრამ აფხაზეთის საერთაშორისო იზოლაციისა და დსთ-ს მიერ 1996 წლის 19 იანვარს მიღებული რეზოლუციით აფხაზეთზე დაწესებული ემბარგოს მიუხედავად (რომელსაც თურქეთიც შეუერთდა) თურქეთს იზოლაციის წესები სრულად არ შეუსრულებია. 1990 წლებიდან მოყოლებული თურქეთის ექსპორტი აფხაზეთში მოიცავს სურსათით, სამშენებლო მასალით, საწვავით, საპოხი მასალით, ტანსაცმლით, სამანქანო მოწყობილობებით და ქსოვილებით ვაჭრობას. აფხაზეთიდან კი თურქეთში გადის ტყვარჩელში მოპოვებული ქვანახშირი, ხე-ტყის მასალა, თევზი და ჯართი (Abkhaz World ; 2012). სავაჭრო ურთიერთობები გაიზარდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ტყვარჩელში ქვანახშირის მოპოვებასა და ექსპორტს 2002 წლიდან უზრუნველყოფდა თურქულ-აფხაზური კომპანია “Tamsash”. 2009 წლიდან ის გარდაიქმნა აფხაზურ კომპანიად- „Tkvarčal-ugol“, რომლის ხელმძღვანელია აფხაზი მუჰაჯირების შთამომავალი და აფხაზეთის ომის მონაწილე ტიფუნ არძინბა. (Узел, К. 2010, June)

ბიზნესის წარმოება დაიწყეს თურქეთიდან აფხაზეთში დაბრუნებულმა აფხაზებმაც, რომლებმაც წამოიწყეს სხვადასხვა ბიზნესი და დააარსეს იმპორტ-ექსპორტის კომპანიები. ბესლან ბარათელიას(აფხაზი ეკონომისტის) გაანგარიშებით, სანამ 2008 წელს რუსეთი აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებდა და იქ მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას წამოიწყებდა, თურქეთიდან იმპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადი „დე-ფაქტო“ აფხაზეთის „სახელმწიფო“ ბიუჯეტის 30%-ს შეადგენდა (კლეიტონი, ნ. 2011).

2012 წლის მონაცემებითა და აფხაზეთის საბაჟო სტატისტიკისა და ანალიზის დეპარტამენტზე დაყრდნობით დე-ფაქტო აფხაზეთის მთავარ სავაჭრო პარტნიორებად რუსეთი(64 %) და თურქეთი (18 %) რჩებიან. აფხაზეთის ექსპორტის მაჩვენებელში რუსეთი 64%-ს იკავებს, თურქეთი აქაც მეორეა 36%-ით(Abkhaz World ; 2012). 2013 წლის არაოფიციალური მონაცემებით თურქეთისა და დე ფაქტო აფხაზეთის ვაჭრობის მოცულობამ 600 მილიონ დოლარს მიაღწია. ვაჭრობის უდიდესი ნაწილი საზღვაო მარშრუტებით განხორციელდა (Kapanadze, S. 2014: 59-60). 2014 წლის მონაცემებითა თურქეთი აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მთავარი სავაჭრო პარტნიორია, რაც გამოიხატება მის მიერ იმპორტირებულ საქონელში 60%-იანი წილის არსებობით. აფხაზური საქონლის ექსპორტის 45 %-ის დანიშნულების ადგილად ასევე თურქეთი სახელდება. (Punsmann, B. G. 2009: 84).

თურქეთის ვაჭრობა აფხაზეთთან ძირითადად საზღვაო გზით ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის გვერდის ავლით. ამას წარსულში ხშირად მოჰყოლია თურქული სავაჭრო ან საბარგო გემების დაკავება ქართული მხარის მიერ. ეს წარმოქმნის დაძაბულობას და უკმაყოფილებას ორივე ქვეყნის ოფიციალური პირების მხრიდან, შესაბამისად ჩრდილს აყენებს ორი ქვეყნის ურთიერთობას. ამცირებს ნდობას თურქული მხარის მიმართ და ასევე ამცირებს თურქეთის, როგორც მნიშვნელოვანი აქტორის მოაზრებას აფხაზეთის კონფლიქტის აღმოფხვრის საკითხში (Kapanadze, S. 2014: 55; სმოლნიკი, ფ.; ვაისი, ა.; ზაბანოვა, ი.; 2018). ვაჭრობა ძირითადად საზღვაო მარშრუტების გამოყენებით მიმდინარეობს თურქული პორტებიდან (სტამბული, ტრაბზონი და სამსუნი) სოჭის მიმართულებით, თუმცა გემების ნაწილი იცვლის კურსს და პირდაპირ სოხუმისკენ მიემართება, ცხადია, ქართული კანონმდებლობის გვერდის ავლით. კანონმდებლობის დარღვევით აფხაზეთისკენ მიმავალი გემები წარსულში ხშირად აღმოჩენილან დაკავებული საქართველოს საზღვაო ძალების მიერ, ვინაიდან ოკუპირებულ აფხაზეთთან ყველა ტიპის ვაჭრობას (გარდა ჰუმანიტარული ტვირთის გადატანისა) საქართველო მრავალი საკანონმდებლო აქტით კრძალავს(Kapanadze, S. 2014: 60-61). მათ შორისაა 2008 წელს მიღებული „კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმს ადგენს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 313 „საქართველოს საზღვაო სივრცის აფხაზეთის საზღვაო რაიონში საქართველოს უფლებების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უშიშროების დაცვის შესახებ“ ითვალისწინებს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული წყლებისა და მიმდებარე ზონის, სოხუმის საზღვაო ნავსადგურისა და პორტპუნქტების დახურვას. საქართველო ზღუდავს

ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში თავისუფალ ნაოსნობას განსაკუთრებულ ინტერესებზე აპელირებით (Kapanadze, S. 2014: 60-61).

საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას გემების(მათ შორის უმეტესად თურქულის) დაკავება მოჰყვა. 1999 წლიდან 2003 წლამდე სულ 40 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, მოხდა თურქული გემების აუქციონზე გაყიდვაც. 2004-2006 წლებში დააკავეს 22 გემი. პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდა, მაგრამ განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია 2009 წელს პანამის დროში ქვეშ მცურავ ტანკერ „ბუკეტის“ თურქეთის მოქალაქე კაპიტნის დაკავებამ, რომელსაც 24 წლიანი პატიმრობა მიესაჯა. (Punsmann, B. G. 2009: 85-86.) ამ ფაქტს განსაკუთრებით მოჰყვა გამოხმაურება თურქეთში. ამავე პერიოდში, 2009-10 წლებში, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობები შედარებით გაცივებით გამოირჩეოდა (Kapanadze, S. 2014: 63). ტანკერის დაკავებამ პოლიტიკური ეშელონებშიც გამოიწვია რეზონანსი. შედეგად თბილისში, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის 7 სექტემბრის წინასწარ დაგეგმილი ვიზიტის დროს, აჰმეთ დავუთოღლუმ დააფიქსირა მკაფიო მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი, თუმცა შეხვედრაზე დავუთოღლუმ ყურადღება დაკავებული თურქი კაპიტნის განთავისუფლებასაც მიაპყრო. ამავე საკითხზე ის გაესაუბრა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსაც (წამალაშვილი, ე. 2009). შესაბამისად ესაა თვალნათელი ილუსტრაცია იმისა, რომ აფხაზეთთან არაოფიციალური სავაჭრო ურთიერთობების საკითხმა თურქეთ-საქართველოს შორის მაღალი დონის პოლიტიკაშიც გადმოინაცვლა.

აფხაზური დიასპორა და პოლიტიკური საკითხები

თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირების შთამომავალი აფხაზები „დე-ფაქტო“ აფხაზეთისთვის მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენენ თურქეთთან ურთიერთობის დროს, ვინაიდან ლობირებენ აფხაზურ პოლიტიკას. ასევე წარმოადგენენ პოტენციური მოქალაქეებისა და უცხოური ინვესტიციების წყაროს(Frear, T. 2014). დაუზუსტებელი მონაცემებით ეთნიკური აფხაზების რაოდენობა თურქეთში საგრძნობლად ვარირებს. აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები თურქეთში ამბობენ, რომ აფხაზთა რიცხვი დაახლოებით მილიონია, თავად აფხაზი „ოფიციალური“ პირების მტკიცებით რიცხვი 500.000-დან მილიონამდე მერყეობს. რომელი მაჩვენებელიც არ უნდა იყოს მართალი, ერთი რამ თვალშისაცემია: თურქეთში მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე საკუთრივ აფხაზეთში: 2011 წლის მონაცემებით აფხაზეთის მოსახლეობა 240.000 ადამიანს შეადგენს,

რომელთაგან 50.71% ანუ მხოლოდ 122.000 ადამიანია ეთნიკურად აფხაზი(Abkhaz World; 2011). ამ მონაცემთა სანდოობა ხშირ შემთხვევაში ეჭვქვეშ დგას, თუმცა ზოგადი სურათის დანახვის საშუალებას მაინც იძლევა.

აღსანიშნავია, რომ თუნდაც მილიონიანი აფხაზური დიასპორა თურქეთის მთლიან მოსახლეობასთან შეფარდებით, რომელიც 2020 წლის მონაცემებით 84 მილიონს შეადგენს, საკმაოდ მცირე, ერთი შეხედვით ნაკლებად მნიშვნელოვანი რიცხვია, თუმცა აფხაზური დიასპორის საქმიანობა უნდა განვიხილოთ ჩერქეზულ დიასპორასთან კავშირში (Çelikpala. M., 2006: 426-430). აღსანიშნავია, რომ თურქეთში ჩერქეზული დიასპორა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა შთამომავლებს აერთიანებს და ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და აქტიური დიასპორაა, რომელსაც აქვს მყარი და ახლო კავშირები თურქეთის მთავრობასთან და რომელიც აქტიურად უჭერს მხარს აფხაზურ დიასპორას, მათ შეხედულებებსა და მიზნებს. მართალია, რთულია ჩრდილოეთ კავკასიელთა ე.წ „ჩერქეზთა“ დიასპორის ზუსტი რიცხვის დადგენა, თუმცა არაოფიციალური მონაცემით ეს რიცხვი შესაძლოა 7 მილიონსაც აღწევდეს რასაც შედარებით დიდ მასშტაბებზე გავყავართ(Çelikpala. M., 2006: 426-430). შესაბამისად თურქეთის მთავრობას უწევს გაითვალისწინოს არა მხოლოდ რამდენიმე ასეული ათასი აფხაზის, არამედ რამდენიმე მილიონიანი დიასპორის შეხედულებები აფხაზეთთან მიმართებით.

დღეს დიასპორის მიერ შექმნილია მრავალრიცხოვანი ასოციაციები და ფონდები. ისინი ცდილობენ, იყვნენ ჩართულნი არა მხოლოდ კულტურულ და სოციალურ აქტივობებში, არამედ კავკასიაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებში. ასევე ერთვებიან თურქეთის არა მხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაშიც. აღსანიშავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებების შემდეგ თურქეთს არ ჰქონდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ერთდროს რკინის ფარდის მიღმა არსებულ სამყაროზე. კავკასიის მიმართ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელი ინფორმაციის ნაკლებობის აღმოფხვრის აუცილებლობამ დიასპორულ ორგანიზაციებს მნიშვნელობა შემატა და ინფორმაციისა და ცოდნის მოპოვების მნიშვნელოვან წყაროდ გადააქცია, რამაც თავის მხრივ მათთვის გააჩინა შესაძლებლობები გაეწიათ ლობირება თავიანთი მშობლიური ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენებში თურქეთის აქტიური ჩართვისთვის (Çelikpala. M., 2006: 429-430). ზოგადადაც შესაძლოა ითქვას, რომ დიასპორათა მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო თურქეთის დაინტერესება კავკასიაში მიმდინარე მოვლენებით. აფხაზურმა და ჩერქეზულმა დიასპორამ უმთავრეს მიზანს-თურქეთის მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას

მართალია, ვერ მიაღწია (უფრო მეტიც, თურქეთი ოფიციალურ დონეზე მუდმივად გამოდის საქართველოს ტერიტორიული ურღვევობისა და სუვერენიტეტის მხარდამჭერი პოზიციით), თუმცა აფხაზური ლობირებით გარკვეულწილად მაინც მოხდა აფხაზეთის „რესპუბლიკისთვის" შედარებით სასარგებლო პოლიტიკის ჩამოყალიბება.

მნიშვნელოვანია ვახსენოთ კავშირების არსებობა პოლიტიკოსების დონეზე და ამ პროცესებში აფხაზური დიასპორის აქტიურობა. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთმა თანდათანობით დაიწყო აფხაზი დიასპორის, როგორც ლეგიტიმური დაინტერესებული მხარის აღიარება საქართველოსა და მის სეპარატიულ რეგიონთან მიმართებით ურთიერთობების კუთხით (Punsmann, B. G. 2009: 87). სწორედ დიასპორა განსაზღვრავს, აორგანიზებს და ლობირებს თურქი პოლიტიკოსების ვიზიტს აფხაზეთში და აფხაზური დელეგაციების ვიზიტს თურქეთში.

მაგალითები კი საკმაოდ მრავლად მოიძებნება: 2014 წელს, 7 ივნისს, აფხაზი პოლიტიკოსი ვალერი ბგანბა შეხვდა თურქეთის პარლამენტის წევრებისგან შემდგარ დელეგაციას აფხაზეთში, რომელიც შედგებოდა ხუთი პარლამენტარის, უნივერისტეტის რექტორის, საქარიის რეგიონის პოლიტიკოსებისგან (ვაისი, ა.; ზაბანოვა, ი.; სმოლნიკი, ფ.; 2018) და აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებისგან. შეხვედრაზე ვალერი ბგანბამ განაცხადა, რომ თურქეთის სვლა აფხაზეთის აღიარებისკენ რთული საკითხია, თუმცა დიალოგის დაწყება შესაძლებელია. თურქმა პარლამენტარმა კი დაადასტურა თურქული დელეგაციის ინტერესები აფხაზეთთან დიალოგის დაწყების შესაძლებლობების მოძიების საკითხში. ყურადღება გამახვილდა ასევე თურქული და აფხაზური მხარის ვაჭრობის კომიტეტების მიერ მიღწეულ შეთანხმებაზეც. აღნიშნულ ვიზიტს საქართველოს მხრიდან აღშფოთება მოჰყვა (Кавказский Узел; 2014).

2014 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ე.წ საგარეო საქმეთა სამინისტროში ე.წ მინისტრის ვ.ა ჩირიკბასა და თურქულ დელეგაციას შორის შეხვედრა გაიმართა. დელეგაციის წევრები მოიცავდნენ: საიტ აჩბას (რომელიც მმართველი პარტიის წევრი, ბიუჯეტის დაგეგმარების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის თურქული ჯგუფის წევრია), ქალაქ რიზეს წარმომადგენელ ილიას ჩაკირს და ქალაქ ტოკატის წარმომადგენელს ერღუნ დაგლიოღლუს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რეპატრიატების წარმომადგენლებიც. სწორედ საიტ აჩბამ გამოთქვა სურვილი აფხაზეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების პარლამენტის დონეზე განვითარების შესახებ. შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეს თურქეთსა და აფხაზეთის „რესპუბლიკას" შორის ურთიერთობების დამყარების პროცესში დიასპორის მნიშვნელოვან პოზიტიურ როლზე. ასევე მიმოიხილეს

სტამბულში აფხაზეთის „საპრეზიდენტო“ არჩევნებისთვის საარჩევნო პუნქტის გახსნა (On the meeting with the delegation from Turkey; 2014), რომელიც აფხაზურ დიასპორას უფლებას აძლევდა, მიეღო მონაწილეობა აფხაზეთის „საპრეზიდენტო არჩევნებში“.

2017 წლის 19 ივლისს აფხაზური დელეგაცია ეწვია თურქეთის პარლამენტს, სადაც თურქ პარლამენტარ ენგინ ტასკუაჩთან გამართეს შეხვედრა (International Fund Apsny; 2017). შეხვედრაზე თურქმა პარლამენტარმა დააფიქსირა მისი სიყვარული აფხაზეთის, თავისი ისტორიული სამშობლოს, მიმართ და გამოთქვა იმედი, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი კვლავ გაგრძელდებოდა.

შესაბამისად აფხაზეთთან თურქეთის არაოფიციალურმა ვაჭრობის საკითხმა, ასევე აფხაზური დიასპორის აქტიურობით მოწყობილმა შეხვედრებმა საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში გარკვეული უსიამოვნებები წარმოქმნა. რომ შევაჯამოთ, შედეგები შემდეგია:

- თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები აფხაზეთთან საქართველოს კანონმდებლობის გვერდის ავლით, რასაც ხშირად მოჰყვებოდა სატვირთო გემების დაკავება, აჩენს უნდობლობას სტრატეგიულ პარტნიორებს შორის.
- თურქეთის მხრიდან აფხაზეთის იზოლაციის დარღვევა ამცირებს იზოლაციის პოლიტიკის ეფექტურობას.
- იწვევს პოლიტიკური სახის უთანხმოებებს საქართველოსა და თურქეთს შორის (რაც მაგალითად გამოიხატა „ბუკეტის“ დაკავების შემდგომ პროცესებში)(Kapanadze, S., 2014: 57-59);
- მცირდება საქართველოს ნდობა თურქეთის, როგორც კონფლიქტის მოგვარების შესაძლო მნიშვნელოვანი კონტრიბუტორის მიმართ (სმოლნიკი, ფ.; ვაისი, ა.; ზაბანოვა, ი.; 2018). მართალია აფხაზეთის თურქეთთან ურთიერთობები ამცირებს მის რუსეთზე დამოკიდებულებას, თუმცა ეს ხელს არ უწყობს საქართველოსთან ურთიერთობების გაუმჯობესებას. შესაბამისად თურქეთი ნაკლებად მოქმედებს, როგორც კონფლიქტის აღმოფხვრაში მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი.

აღსანიშნავია, რომ დიასპორის ჩართულობა მხოლოდ შეხვედრების მოწყობასა და სავაჭრო ურთიერთობების დამყარებით არ შემოიფარგლებოდა და ზოგიერთ შემთვევაში ბევრად უფრო მასშტაბურ სახეს აღწევდა.

თურქეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ საქართველოში სულეიმან დემირელის ვიზიტს (1992 წლის მაისი-ივნისი) დაემთხვა

აფხაზური დიასპორის საშუალებით დაფინანსებული და დაორგანიზებული აფხაზეთის ე.წ „პრეზიდენტის“ ვლადისლავ არძინბას ვიზიტი თურქეთში. (Çelikpala. M 2006: 231)

აფხაზურმა დიასპორამ 1992 წელს მოახერხა თურქეთის პრემიერ მინისტრთან სულეიმან დემირელთან შეხვედრაც, სადაც ასევე განიხილეს აფხაზეთის საკითხი.

აფხაზური დიასპორის აქტიურობის საკითხში აღსანიშნავია კავკასია-აფხაზეთის სოლიდარობის კომიტეტი (KADK), რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმდინარეობის დროს დაარსდა და მოიცავდა 42 ასოციაციის წარმომადგენელს. ორგანიზაციის საქმიანობა მიმართული იყო აფხაზეთისთვის ყველა შესაძლო პოლიტიკური დახმარების გაწევისკენ, აფხაზეთის საკითხისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრებისთვის, მედიისთვისა და პლიტიკოსებისთვის აფხაზეთზე საჭირო ინფორმაციის მიწოდებისაკენ. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ოფიციალური პოზიცია მუდმივად საქართველოს უჭერდა მხარს და იყო ერთგვარად ქართულ-ცენტრული, თურქული საზოგადოების სიმპატიები და მხარდაჭერა მიმართული იყო აფხაზებისკენ. (Çelikpala. M., 2006: 432)

კავკასია-აფხაზეთის სოლოდარობის კომიტეტი 2000 წლების დასაწყისშიც აქტიურად ჩაერთო აფხაზეთის სასარგებლო ლობირებაში, მათ შორის თურქ და ქართველ პოლიტიკოსებთანაც. მაგალითად 2001 წელს თურქეთში შევარდნაძის ვიზიტამდე კომიტეტის წარმომადგენლები შეხვდნენ თურქეთის პრეზიდენტ აჰმეთ სეზერს. შემდგომ კი თავად შევარდნაძესაც, სადაც თავიანთი უარყოფითი შეხედულება დააფიქსირეს აფხაზეთისთვის დაწესებულ ემბარგოსთან დაკავშირებით. ასევე თურქეთისგან მოითხოვეს საქართველოსთვის სამხედრო დახმარების გაწევის შეწყვეტა, ან, სულ მცირე, ამ სამხედრო იარაღის აფხაზეთის წინააღმდეგ გამოყენების აკრძალვა. თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აფხაზეთის საკითხს უყურადღებოდ არ დატოვებდა და მშვიდობის შენარჩუნებაზე იზრუნებდა. შევარდნაძემ კი შეხვედრის შემდეგ აფხაზ დიასპორასთან და განსაკუთრებით კავკასია-აფხაზეთის სოლოდარობის კომიტეტთან(KADK) ურთიერთობების შენარჩუნება მალხაზ კაკაბაძეს დაავალა (Sözen, A. 2003: 100).

თურქეთის მიერ დე-ფაქტო აფხაზეთთან ურთიერთობის დამყარებას ან ამ ურთიერთობების არ შეზღუდვას რამდენიმე მიზეზი და მიზანი შეიძლება ჰქონდეს. იმ მწირი წყაროებიდან, რომლებშიც აფხაზეთით თურქეთის დაინტერესების თაობაზე მიმდინარეობს საუბრები, გამოიყოფა ერთი მნიშვნელოვანი ასპექტიც. კერძოდ, თურქეთს, ერთი მხრივ, სურს, რომ შეჩერდეს ან მინიმუმ ხელი შეეშალოს აფხაზეთის რუსეთთან უფრო მეტ ინტეგრირებას,

(Uslu, E. 2009) რის საშუალებადაც მასთან სავაჭრო ურთიერთობების წარმართვას სახავს. ეს არგუმენტი უფრო რეალურია თუ ნეო-ოტომანიზმსაც მივიღებთ მხედველობაში, რომელიც ყოფილი ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში არსებულ ტერიტორიებზე თურქეთის გავლენის ზრდას გულისხმობს (Tüysüzoğlu, G. 2014: 85). ისტორიის გარკვეულ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორია სწორედ ამ საზღვრებში შედიოდა. დღეს კი აფხაზეთის რუსეთზე სულ უფრო და უფრო მზარდი ურთიერთობების გამო თურქეთს არ სურს აფხაზეთი სრულად რუსეთზე დამოკიდებული იხილოს. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც 2008 წელს რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა და თითქოს თურქეთში დაიკარგა იმედი, რომ საქართველო ოდესმე შეძლებდა ამ რეგიონის რეინტეგრირებას (Torbakov, I. 2009).

თეორიული ჩარჩო

დიასპორის კვლევა საერთაშორისო ურთიერთობებში 1990-იანი წლების ბოლოდან იწყება და ის, რაც უმეტესად აერთიანებს ამ კვლევებს დიასპორის ქმედებების, მისი გავლენებისა და მნიშვნელობის ახსნაა ლიბერალური (პლურალისტური) თეორიით. ეს შემთხვევითი არაა, ვინაიდან უარყოფს რა სახელმწიფოს უნიტარულობას, ლიბერალური თეორია ტოვებს სივრცეს შიდასახელმწიფოებრივი აქტორებისა და ჯგუფებისთვის. ლიბერალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი მიდგომა პოლიტიკის წარმართვის პროცესში შიდა აქტორების როლს ეხება - კერძოდ კი ლიბერალიზმის მიხედვით შიდა ჯგუფები პოლიტიკის მთავარი, ფუნდამენტალური მნიშვნელობის აქტორები არიან და თავიანთი მიზნებისა და ინტერესების განხორციელებით მოქმედებენ სახელმწიფოების პოლიტიკის განსაზღვრის პროცესზე(თუნდაც არალიბერალურ სახელმწიფოებში) (Moravcsik, A., 1992: 6-8). ლიბერალიზმისთვის სახელმწიფო პოლიტიკა შიდასახელმწიფოებრივი ჯგუფებისა და ინდივიდების გამოხატულებაა, კერძოდ „თითქმის ყველა მთავრობა შიდა საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს, რაც შემდეგ გამოიხატება სახელწმიფო პოლიტიკაში“, შესაბამისად ერთმანეთს კვეთს სახელმწიფოსა და საზოგადოების ცნებები. (Moravcsik, A., 1992: 8-9)

„ობობას ქსელის“ შედარებაც, რასაც ლიბერალიზმი მსოფლიო პოლიტიკის ბუნების საჩვენებლად იყენებს, აღწერს იმ ვითარებას, რომელშიც ტრანსნაციონალური ურთიერთობები წარიმართება მრავალ ჯგუფსა და დაინტერესებულ მხარეს ე.წ „დაბალი პოლიტიკის“ აქტორებს შორის, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს პოლიტიკურ პროცესებზე

(აკობია, ე,. 2006: 35) ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკურ ინტერესებსა და ამ ინტერესებზე დაფუძნებულ კავშირებს.

შესაბამისად ის, თუ როგორ მოქმედებს და რა გავლენას ახდენს აფხაზური დიასპორა თურქეთის პოლიტიკაზე ლიბერალური თეორიით შეიძლება აიხსნას. თურქეთში აფხაზური დიასპორა აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებში აქტიური ჩართულობით, დე-ფაქტო აფხაზეთის ინტერესების ლობირებით, თურქეთის პოლიტიკური წრეებისთვის ინფორმაციის მიწოდებით, საზოგადოებაში პერიოდულად აფხაზეთის საკითხის გააქტიურებით, დელეგაციათა ვიზიტების დაგეგმვითა და განხორციელებით შიდა პოლიტიკის ჯგუფად არის ჩამოყალიბებული. ის ცდილობს თავისი მიზნისა და ინტერესების გატარებას და მეტწილად არის თურქეთის მიერ დე-ფაქტო აფხაზეთთან დამყარებული არაოფიციალური კავშირების ინიციატორი და განმხორციელებელი. აფხაზური დიასპორა გავლენას ახდენს თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებით და დიასპორის კავშირებით (უმეტესად ჩერქეზული დიასპორის გავლით) პოლიტიკურ წრეებთან. წარმოშობით აფხაზი თურქეთის მოქალაქე ბიზნესმენების ეკონომიკური ინტერესები და კავშირები აფხაზეთში ასევე დამატებით დამაკავშირებელ ეკონომიკურ ფაქტორს ქმნის (ობობას ქსელის გამოხატულება), რაც თურქეთისთვის დე-ფაქტო აფხაზეთთან ურთიერთობების წარმართვას (მინიმალურ დონეზე მაინც) მნიშვნელობას ანიჭებს. შესაბამისად შემთხვევითი არაა, რომ თურქეთის მხრიდან დე-ფაქტო აფხაზეთთან ურთიერთობების შენარჩუნებაში ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად თურქეთის შიდასახელმწიფოებრივი ჯგუფი- აფხაზური დიასპორა და ისტორიულ სამშობლოსთან მათი კავშირი აღიქმება.

დასკვნა

მიუხედავად იმ არგუმენტისა, რომ თურქეთს არ სურს აფხაზეთი მთლიანად რუსეთზე დამოკიდებული იხილოს (რითაც ზოგიერთი ავტორი ხსნის თურქეთის არაოფიციალურ ურთიერთობებს დე-ფაქტო აფხაზეთთან), აფხაზური დიასპორის მნიშვნელობა თურქეთ-დე ფაქტო აფხაზეთის ურთიერთობების დამყარებასა და შენარჩუნებაში უდავოა და მრავალი ავტორის აზრით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. დიასპორა აქტიურად ცდილობს იმოქმედოს აფხაზური „სახელმწიფოს“ ინტერესების შესაბამისად და ზემოქმედება მოახდინოს თურქეთის არამხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკაზეც. ამას ადასტურებს კიდეც უკანასკნელ წლებში თურქეთში აფხაზური „ოფიციალური“ დელეგაციის და აფხაზეთში თურქული დიასპორის ვიზიტები და აფხაზეთთან დამყარებული ეკონომიკური

ურთიერთობები, რომლებიც ძირითადად დიასპორის უშუალო ჩართულობითაა წარმართული. აღსანიშნავია, რომ ეს ურთიერთობები ქართულ-თურქულ პარტნიორულ და რეგიონში მისაბაძ ურთიერთობას ჩრდილს აყენებს და რიგ შემთხვევებში იმედგაცრუებასაც იწვევს.

ბიბლიოგრაფია

1. აკობია, ე., (2006) საერთაშორისო ურთიერთობების თეორია; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი; 34-36
2. ბატაშვილი, დ. (2020, November 16). რა მოიპოვა რუსეთმა ყარაბაღში. GFSIS. ნანახია: 27.07.2021, ხელმისაწვდომია: https://www.gfsis.org/ge/blog/view/1120
3. ვაისი, ა.; ზაბანოვა, ი.; სმოლნიკი, ფ.; (2018, 5 თებერვალი). მყიფე წონასწორობა. თურქეთი, საქართველო და დე ფაქტო სახელმწიფო აფხაზეთი | ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო. Heinrich-Böll-Stiftung. ნანახია: 22.07.2021 ხელმისაწვდომია: https://ge.boell.org/ka/2018/02/05/mqipe-conascoroba-turketi-sakartvelo-da-de-pakto-saxelmcipo-apxazeti
4. კლეიტონი, ნ. (2011, April 9). აფხაზეთში თურქული ინვესტიციები და ბიზნესი ფართოვდება. Tabula. https://tabula.ge/ge/news/542042-apkhazetshi-turkuli-investitsiebi-biznesi
5. მანჩხაშვილი მ. (2018). თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი. ნანხია 17.07.2021, ხელმისაწვდომია: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Maia_Manchkhashvili.pdf
6. წამალაშვილი, ე. (2009, September 8). აჰმედ დავუთოღლუ: "თურქეთისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში მშვიდობა და სტაბილურობა." რადიო თავისუფლება. მოპოვებულია: 23.07.2021 ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/1818231.html
7. Abkhaz World. (2012, July 29). *Russia and Turkey Remain Abkhazia's Main Trade Partners*. Abkhaz World | History, Culture & Politics of Abkhazia. https://abkhazworld.com/aw/economy/%20509russia-and-turkey-remain-abkhazias-main-trade-partners
8. Abkhaz World. (2011, December 29). *The population of Abkhazia stands at 240,705*. Abkhaz World | History, Culture & Politics of Abkhazia. Retrieved July 25, 2021, from: https://abkhazworld.com/aw/current-affairs/534-the-population-of-abkhazia-stands-at-240705
9. Çelikpala. M., (2006). From Immigrants to Diaspora: Influence of the North Caucasian Diaspora in Turkey. *Middle Eastern Studies, 42*(3), 423-446. Retrieved July 25, 2021, from http://www.jstor.org/stable/4284462
10. Frear, T,. (2014) The foreign policy options of a small unrecognised state: the case of Abkhazia, Caucasus Survey, 1:2, 83-107 Available at: https://doi.org/10.1080/23761199.2014.11417293
11. Gabuev, B. A. (2020, November 12). *Viewpoint: Russia and Turkey - unlikely victors of Karabakh conflict*. BBC News. https://www.bbc.com/news/world-europe-54903869

12. Górecki, W., & Chudziak, M. (2021, February 5). *The (pan-)Turkic Caucasus. The Baku-Ankara alliance and its regional importance*. OSW Centre for Eastern Studies. Available at : https://www.osw.waw.pl/en/publikacje/osw-commentary/2021-02-01/pan-turkic-caucasus-baku-ankara-alliance-and-its-regional
13. Tüysüzoğlu, G. (2014). Strategic depth: A neo-Ottomanist interpretation of Turkish Eurasianism. *Mediterranean Quarterly*, *25*(2), 85-104. Available at: https://www.researchgate.net/publication/265738500_Strategic_Depth_A_Neo-Ottomanist_Interpretation_of_Turkish_Eurasianism
14. Kapanadze, S. (2014). Turkish trade with Abkhazia: An apple of discord for Georgia. *Turkish Policy Quarterly*, *13*(3), 55-68. Available at: http://turkishpolicy.com/files/articlepdf/turkish-trade-with-abkhazia-an-apple-of-discord-for-georgia-fall-2014-en.pdf
15. Moravcsik, A., (1992) Liberalism and International Relations Theory; Center for International Affairs, Harvard University, 5-10. Available at: https://www.princeton.edu/~amoravcs/library/liberalism_working.pdf
16. *On the meeting with the delegation from Turkey*. (2014, August 25). Retrieved July 25, 2021, from : http://old.mfaapsny.org/en/information/?ID=2783
17. Punsmann, B. G. (2009). Questioning the Embargo on Abkhazia: Turkey's Role in Integrating into the Black Sea Region. *Turkish Policy Quarterly*, *8*(4), 77-88. Available at: http://turkishpolicy.com/images/stories/2009-04-tpq/77-88.pdf
18. Shain, Y., & Barth, A. (2003). Diasporas and International Relations Theory. *International Organization, 57*(3), 449-479. Retrieved July 28, 2021, from http://www.jstor.org/stable/3594834
19. Sözen, A. (2003). Dangerous Neighborhood: Contemporary Issues in Turkey's Foreign Policy, edited by Michael S. Radu. New Brunswick: Transaction Publishers, 2003. 232 pages. Review of Middle East Studies, 37(2), 286-287. Available at: https://books.google.ge/books?id
20. *The delegation from Abkhazia had a meeting with the deputy of the Parliament of the Turkish Republic Engin Taskuach*. (2017, July 19). "International Fund Apsny." Retrieved July 25, 2021, from http://www.fondapsny.org/en/delegation-abkhazia-had-meeting-deputy-parliament-turkish-republic-engin-taskuach
21. Torbakov, I. (2009, October 8). *Turkey: Ankara Probing for Stronger Ties to Renegade Georgian Region of Abkhazia*. Eurasianet. https://eurasianet.org/turkey-ankara-probing-for-stronger-ties-to-renegade-georgian-region-of-abkhazia
22. Uslu, E. (2009, October 5). *Turkey Considers the Status of Abkhazia*. Jamestown. https://jamestown.org/program/turkey-considers-the-status-of-abkhazia/
23. Кавказский Узел (2010, June 10). *В Абхазии приостановило работу угледобывающее предприятие ООО "Ткуарчал-уголь."* Кавказский Узел. https://www.kavkaz-uzel.eu/articles/168507>/

24. Кавказский Узел (2014 June 08). *Acting Abkhazian President meets Turkish MPs; Georgia is surprised at their visit to Sukhumi*. Caucasian Knot. Retrieved July 25, 2021, from https://www.eng.kavkaz-uzel.eu/articles/28370/